

|   |   |
|---|---|
| <p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p> | <p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი<br/>მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი:<br/>(+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a></p>   |
| <p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>     | <p><a href="#">ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა</a></p>  |
| <p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>                | <p>ბიოლოგიის მაგისტრი /ბიომრავალფეროვნებაში/ გენეტიკაში/<br/>ჰიდრობიოლოგიაში/</p>   |
| <p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>            | <p>საგანმანათლებლო პროგრამა მოცულობა 120 კრედიტს შეადგენს, მათ შორის 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამა მოიცავს სამ სასპეციალიზაციო მოდულს: ბიომრავალფეროვნება, ჰიდრობიოლოგია, გენეტიკა. 30 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები საერთოა ყველა სპეციალიზაციისათვის, 60 კრედიტი ეთმობა საკუთრივ სპეციალიზაციის სასწავლო კურსებს (მათ შორის სასწავლო-სავლელე პრაქტიკა 10კრედიტი; არჩევითი კურსები 10კრედიტი).</p>   |
| <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>         | <p>პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიოლოგიის მაგისტრი არჩევითი სპეციალიზაციების - ბიომრავალფეროვნების, გენეტიკის ან ჰიდრობიოლოგიის მიმართულებით, აღჭურვოს დარგის ღრმა თეორიული ცოდნით და ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები.</p> <p>პროგრამის ყველა სტუდენტი შეიძენს ცოცხალის ძირითადი ერთეულის, უჯრედის მორფოლოგიის, განვითარების და მემკვიდრეობის ძირითადი ერთეულის – გენის მოლეკულური ბიოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნას. დაეუფლება დარგის კვლევის თანამედროვე ექსპერიმენტულ მეთოდებს, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის ძირითად სტრატეგიებს, რის შემდეგაც არჩეული სპეციალიზაციის შესაბამისად გაიღრმავებს ცოდნას და კვლევის უნარებს.</p> |

სწავლის შედეგები

**სპეციალიზაცია გენეტიკა**

მოდულის ამზადებს გენეტიკის კლასიკური და თანამედროვე კვლევის მეთოდების ცოდნით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტს, რომელსაც ექნება მემკვიდრეობისა და ცვალებადობის, მათი თანაფარდობის რეგულაციის კანონზომიერებებისა და გენის ექსპრესიის მოლეკულური მექანიზმების ღრმა და სისტემური ცოდნა და შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფორმირებას

**სპეციალიზაცია ბიომრავალფეროვნება**

მოდულის ამზადებს ცოცხალი სამყაროს ბიომრავალფეროვნების სისტემატიკური და ბიოეკოლოგიური საკითხების ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტს, რომელსაც ღრმად და საფუძვლიანად ეცოდინება სახეობათა გავრცელება და რეგიონული ბიომრავალფეროვნების ძირითადი კანონზომიერებები; შეძლებს ბიომრავალფეროვნების მეცნიერული კვლევას კონსერვაციის თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით.

**სპეციალიზაცია ჰიდრობიოლოგია**

მოდულის მიზანია მაგისტრანტმა შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა წყლის გარემოს თვისობრივი თავისებურებებისა და მისი გავლენის შესახებ ჰიდრობიონტების აგებულებასა და სასიცოცხლო პროცესების რეგულაციაში; ზღვისა და მტკნარი წყალსატევების ბიომრავალფეროვნების შესწავლის საფუძველზე შეძლოს ჰიდრორესურსების შენარჩუნების, მდგრადი გამოყენების და სარეწაო ჰიდრობიონტთა ბუნებრივი კვლავწარმოების ეფექტურობის ამაღლების სტრატეგიების შემუშავება.

- ჩამოყალიბდება სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, კრიტიკული გააზრების და დასკვნის უნარი. შეძლებს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა სფეროში სხვადასხვა სირთულის უცხოენოვანი სამეცნიერო ტექსტების არსებითი შინაარსის გაგებას, დარგობრივი დისკუსიის წარმართვას;
- შეძლებს მოიფიქროს, დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი პროექტი; დამოუკიდებლად აითვისოს სამეცნიერო კვლევებისათვის აუცილებელი მეთოდოლოგია;
- შეეძლება ცვალებად გარემოში, ახალი ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად ათვისება.
- მონაწილეობას მიიღებს ბუნების ეთიკურ-ესთეტიკურ და პრაქტიკულ ღირებულებათა დამკვიდრების პროცესში.

|                        |  |
|------------------------|--|
| <p>შეფასების წესი</p>  | <p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> |
| <p>საკონტაქტო პირი</p> | <p>პროგრამის ხელმძღვანელი -<br/>პროფესორი რუსუდან ხუხუნაიშვილი<br/>✉ ელ.ფოსტა: <a href="mailto:rusudan_kh@yahoo.com">rusudan_kh@yahoo.com</a><br/>☎ ტელ: 599589635</p>   |